



# პოლიტიკის დოკუმენტი N2025/02

---

## რა გეგავლენას ახდენს საქართველოში არსებული პოლიტიკური კრიზისი ბიზნეს გარემოზე

იანვარი 2025

ავტორები:  
თორნიკე სურგულაძე  
თამარ ბლიაძე

შენიშვნა: წინამდებარე დოკუმენტი მომზადებულია შვედეთის ფინანსური მხარდაჭერით. დოკუმენტის შინაარსი არის ავტორ(ებ)ის პასუხისმგებლობა და არცერთ შემთხვევაში არ ასახავს შვედეთის პოზიციას.

## შესავალი

26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებულ პოლიტიკურ და სოციალურ კრიზისს მნიშვნელოვანი ზეგავლენა აქვს საქართველოს ბიზნეს-გარემოზე. ხანგრძლივი პოლარიზაცია, სახელმწიფოს მხრიდან დემონსტრანტების მიმართ ძალადობა და ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებების შეწყვეტა უარყოფითად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ კლიმატზე რამდენიმე მიმართულებით. კრიზისი გაცდა პარტიული პოლიტიკის საზღვრებს, რამაც ქვეყანა გარდაუვალი სოციალურ-ეკონომიკური საფრთხის წინაშე დააყენა. მცირე, საშუალო და მსხვილი ბიზნესის 2,000-ზე მეტმა წარმომადგენელმა გამოთქვა შეშფოთება, გაკეთდა ერთობლივი განცხადება, რომელშიც ხაზი გაესვა სიტუაციის დაუყოვნებლად დეესკალაციის საჭიროებას. განცხადების ხელმძღვანელი მხარეები ითხოვენ ახალი არჩევნების დანიშვნას და ბოლოდროინდელი დემონსტრაციების დროს დაკავებულების გათავისუფლებას<sup>1</sup>. ბიზნეს-სექტორის წარმომადგენლები იაზრებენ საკუთარ პასუხისმგებლობასა და როლს ქვეყნის წინაშე და აცხადებენ, რომ მათი პოზიცია სცდება პოლიტიკური გემოვნების საკითხს და ისინი ერთიანდებიან საერთო მიზნის გარშემო – საქართველოში აღდგეს სტაბილურობა და ხელი შეეწყოს ეკონომიკურ განვითარებას.

არასტაბილურობა და მოსახლეობის უნდობლობა სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ, აფერხებს როგორც ქვეყნის შიდა, ისე უცხოურ ინვესტიციებს. ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებების შეჩერებამ შესაძლოა საქართველო აქციოს ნაკლებად მიმზიდველ ადგილად ბიზნეს საქმიანობისათვის. ძირითადი ინსტიტუტების, მათ შორის ეროვნული ბანკისა და სხვა ორგანიზაციების დამოუკიდებლობა, სახელმწიფოს ჩარევის შედეგად საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. საქართველო, რომელიც ოდესღაც რეფორმებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების მაგალითი იყო, ამჟამად ინსტიტუციური დამოუკიდებლობის შესუსტების წინაშე დადგა. აღნიშნული პროცესი შეაფერხებს მმართველობის სფეროში მანამდე არსებულ მრავალწლიან პროგრესს, ეკონომიკურ სტაბილურობას და ევროკავშირთან დაახლოებას. დამოუკიდებელი და ინკლუზიური ინსტიტუტების შენარჩუნება გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონეა ქვეყნის მომავლისათვის. შეშფოთება კიდევ უფრო გამძაფრდა საერთაშორისო პარტნიორების მიერ სანქციების დაწესების შემდეგ. 2024 წლის 12 დეკემბერს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა დააწესა სავიზო შეზღუდვების ახალი სერია, რომელიც საქართველოს 20-მდე მოქალაქეს შეეხო, მათ შორის, ქართული ოცნების მაღალჩინოსნებს, მინისტრებს, პარლამენტარებს, სამართალდამცავებს, უშიშროების სამსახურის წარმომადგენლებს და კერძო პირებს, რომელთა ვინაობაც უცნობია. 19 დეკემბერს აშშ-ის სახაზინო დეპარტამენტმა შინაგან საქმეთა მინისტრი ვახტანგ გომელაური და განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე მირზა კეზევაძე „მაგნიტსკის სიაში“ შეიყვანა. საბოლოოდ, 27 დეკემბერს აშშ-ის სახაზინო დეპარტამენტმა სანქციები ყოფილ პრემიერ-მინისტრს, ქართული ოცნების დამფუძნებელსა და საპატიო

<sup>1</sup> იხ. მონაწილე ბიზნესების დეტალური ჩამონათვალი: [www.freebusiness.ge](http://www.freebusiness.ge).

თავმჯდომარეს, მილიარდერ ბიძინა ივანიშვილს დაუწესა. შეერთებული შტატების გარდა, ქართველ მაღალჩინოსნებს სანქციების დაწესებით დაემუქრნენ გაერთიანებული სამეფო, ლიეტუვა, ლატვია, ესტონეთი და უკრაინაც, რაც ასახავს ფართო საერთაშორისო შემფოთებას ქვეყნის მმართველობისა და დემოკრატიის სტანდარტებთან დაკავშირებით. გარდა ამისა, აშშ-მა საქართველოს 95 მლნ აშშ დოლარის დახმარება შეუჩერა, ევროკავშირმა 121 მლნ ევროს დახმარება გაუყინა, ხოლო შვედეთმა შეწყვიტა პირდაპირი თანამშრომლობა საქართველოსთან, ქვეყნის არადემოკრატიული ტრეექტორიის გამო.


ევროკავშირსა და შეერთებულ შტატებთან კავშირების პოტენციური შესუსტება შემაშფოთებელია და აჩენს კითხვებს იმასთან დაკავშირებით, ექნება თუ არა წვდომა ქვეყანას ევროპულ ბაზრებზე, როგორ წარიმართება საკანონმდებლო ბაზების ევროპულთან ჰარმონიზაცია და ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროგრამებში მონაწილეობა, რადგან თითოეულ მათგანს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ქართული ბიზნესის კონკურენტუნარიანობის ზრდისა და ეკონომიკური ინტეგრაციისათვის. გარდა ამისა, სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებისას, ბიზნესები ეყრდნობიან მოსალოდნელ და სტაბილურ პოლიტიკურ გარემოს, არსებული კრიზისი კი ამცირებს ინვესტორების ნდობას. ამ არასტაბილურობას თან ახლავს **ვალუტის კურსის ცვალებადობა**, რადგან გაცვლითი კურსის ამგვარი რყევა ზრდის ტრანსსასაზღვრო ინვესტიციებთან დაკავშირებულ რისკებს. ამასთან ერთად, საქართველოს **საერთაშორისო საკრედიტო რეიტინგების** პოტენციურმა შემცირებამ შესაძლოა, კიდევ უფრო მეტად შეზღუდოს ინვესტორები, გამოიწვიოს სესხის აღებასთან დაკავშირებული ხარჯების ზრდა და განაპირობოს ქვეყნის, როგორც საინვესტიციო ადგილმდებარეობის, მიმზიდველობის შემცირება. მოსალოდნელი კლება განსაკუთრებით დააზიანებს **პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე** დამოკიდებულ სექტორებს: უძრავ ქონებას, ენერჯეტიკასა და ტურიზმს, რომლებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ საქართველოს ეკონომიკური ზრდისთვის. **ნდობისა და მოლოდინების** შემცირება მიუთითებს კერძო სექტორის აქტივობისა და შემოდინებული ინვესტიციების შემცირებაზეც.

## ვალუტის კურსის რყევა

საქართველოში ეკონომიკური სიჯანსაღის ძირითადი მაჩვენებელი აშშ დოლარი/ლარის გაცვლითი კურსია, რომელზეც გავლენას ახდენს როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ფაქტორები. სტაბილური გაცვლითი კურსი ხელს უწყობს ინვესტორთა ნდობის გამყარებას, ვალუტის კურსის მუდმივი ცვლილება კი უარყოფით ზეგავლენას ახდენს როგორც ბიზნესზე, ისე საოჯახო მეურნეობებზე. 2024 წელს დაფიქსირდა აშშ დოლარი/ლარის გაცვლითი კურსის საგრძნობი მერყეობა, დეკემბერში კი ლარი მნიშვნელოვნად გაუფასურდა (იხ. გრაფიკი 1). ლარის გაუფასურება მჭიდროდ უკავშირდება 28 ნოემბერს მთავრობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, რომელიც ითვალისწინებს ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესის 2028 წლამდე გადავადებას. ამ გადაწყვეტილებას ფართომასშტაბიანი პროტესტი

მოწყვა, რამაც გააღრმავა პოლიტიკური და ეკონომიკური გაურკვევლობა და გამოიწვია ლარის გაუფასურება.

**გრაფიკი 1.** აშშ დოლარი/ლარის გაცვლითი კურსი, 2024




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მოსალოდნელია, რომ ლარის გაუფასურება უარყოფით ზეგავლენას იქონიებს ბიზნეს გარემოზე რამდენიმე მიმართულებით. უპირველეს ყოვლისა, გაიზრდება იმპორტის ხარჯი იმ საწარმოებისათვის, რომელთა საქმიანობაც დამოკიდებულია იმპორტულ ნედლეულზე ან საქონელზე. ეს გამოიწვევს მოგების შემცირებას და გაართულებს უცხოურ პროდუქციაზე კონკურენციის გაწევას. გარდა ამისა, ლარის გაუფასურება უარყოფითად აისახება მომხმარებელთა მსყიდველობითუნარიანობაზე, რაც გამოიწვევს მოთხოვნის შემცირებას ადგილობრივ საქონელსა და მომსახურებაზე. ეს უარყოფითად აისახება იმ საწარმოებზე, რომლებიც დამოკიდებული არიან ადგილობრივ წარმოებაზე. ამავდროულად, ლარის გაუფასურების შედეგად, შესაძლოა, საწარმოებისთვის გაიზარდოს სესხის აღებასთან დაკავშირებული ხარჯები, რამდენადაც ხშირ შემთხვევაში საწარმოები სესხს სწორედ უცხოურ ვალუტაში იღებენ.

პირდაპირი ეფექტების გარდა, მოსალოდნელია, რომ ლარის გაუფასურება არაპირდაპირ ზეგავლენასაც იქონიებს ბიზნეს გარემოზე რამდენიმე მიმართულებით. მაგალითად, მოსალოდნელია, რომ ეს გამოიწვევს ინფლაციის მაჩვენებლის ზრდას, რაც კიდევ უფრო უარყოფითად აისახება მომხმარებელთა მსყიდველობითუნარიანობაზე და საწარმოებსაც გაურთულებს სამომავლო დაგეგმარებასა და ინვესტირებას. ეს გაზრდის გაურკვევლობასაც ინვესტორებს შორის, რაც გამოიწვევს უცხოური ინვესტიციების შემცირებას და გაართულებს საწარმოების მხრიდან კაპიტალზე წვდომას.


ქვეყანაში არსებული პოლიტიკური გაურკვევლობა კიდევ უფრო აშკარად ჩანს დეპოზიტების სფეროში არსებულ ტენდენციებზე. ბოლო ორი თვის განმავლობაში ეროვნულ ვალუტაში ვადიანი და მოთხოვნამდე დეპოზიტები შემცირდა, ხოლო უცხოურ ვალუტაში დეპოზიტების რაოდენობა გაიზარდა (იხ. გრაფიკები 2 და 3), რაც მიუთითებს ლარის სტაბილურობასთან დაკავშირებულ მზარდ უნდობლობაზე. საოჯახო მეურნეობები და საწარმოებიც, როგორც ჩანს, თავს იზღვევენ ლარის სამომავლოდ გაუფასურდების რისკისგან და უპირატესობას უცხოურ ვალუტას ანიჭებენ. ამგვარმა ტენდენციებმა შესაძლოა გააღრმავოს ეკონომიკური გამოწვევები, შეამციროს ლიკვიდურობა ეროვნულ ვალუტაში და გამოიწვიოს დოლარიზაციის ზრდა, რაც გაართულებს მონეტარულ პოლიტიკას და გაამწვავებს ეკონომიკურ მოწყვლადობას.

**გრაფიკი 2.** მოთხოვნამდე დეპოზიტები ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში, მლნ ლარი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**გრაფიკი 3.** ვადიანი დეპოზიტები ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში, მლნ ლარი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

## საერთაშორისო რეიტინგი

საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტომ „Fitch Ratings“ საქართველოს გრძელვადიანი საკრედიტო რეიტინგი (IDR) სტაბილურიდან უარყოფითამდე ჩამოაქვეითა და, ამავდროულად, BB დონეზე დატოვა (Fitch Ratings, 2024). პროგნოზის ამგვარი ნეგატიური ცვლილება რამდენიმე საკვანძო ფაქტორს ასახავს, მათ შორის, გაზრდილ პოლიტიკურ რისკებს, ურთიერთობის გაუარესებას საგარეო პარტნიორებთან, პოლიტიკის ჩარჩოსთან დაკავშირებულ სირთულეებსა და საერთაშორისო რეზერვების შემცირებას (იხ. ცხრილი 1).


ნეგატიური პროგნოზის ძირითად მიზეზს წარმოადგენს **პოლიტიკური რისკის** საგრძნობი ზრდა, რაც დაკავშირებულია ფართომასშტაბიან საპროტესტო გამოსვლებსა და მიმდინარე სამართლებრივ დავებთან. Fitch საქართველოში არსებულ კრიზისს უკიდურესად მწვავედ აფასებს, რადგან ხანგრძლივმა პოლიტიკურმა კრიზისმა შესაძლოა შეასუსტოს ქვეყნის ინსტიტუტები, დააქვეითოს ინვესტორების ნდობა და ზეწოლა მოახდინოს გარე ლიკვიდურობასა და გაცვლით კურსზე. ყოველივე აღნიშნულს თან ერთვის საჯარო ინსტიტუტებისადმი ნდობის დაკარგვა, რაც სავარაუდოდ, შეამცირებს საქართველოს

მმართველობის ეფექტიანობის მაჩვენებლებს, რომლებიც წარსულში საქართველოში უკეთესი იყო სხვა მეზობელ ქვეყნებთან შედარებით.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელმაც რეიტინგში ქვეყნის უკან დახევა განაპირობა, არის **საგარეო ურთიერთობების დამაზღვა**. არჩევნების შემდეგ საქართველოს მთავრობამ განაცხადა, რომ ევროკავშირში გაწევრიანების მოლაპარაკებების დაწყება, სულ მცირე, 2028 წლამდე გადადო. არსებული სიტუაციის დიდხანს გაგრძელების შემთხვევაში, შესაძლოა დაიძაბოს ურთიერთობები დასავლელ მოკავშირეებთან, რაც, სავარაუდოდ, გამოიწვევს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებისა და ფინანსური მხარდაჭერის შემცირებას.

**მაკროეკონომიკური მდგომარეობა** კიდევ ერთი ფაქტორია, რომელმაც ზეგავლენა იქონია Fitch-ის რეიტინგში საქართველოს პოზიციის გაუარესებაზე. ოქტომბერში საქართველოს საერთაშორისო რეზერვები წინა თვესთან შედარებით 13%-ით (627,5 მლნ აშშ დოლარი) შემცირდა და 4,1 მლრდ აშშ დოლარს მიაღწია (იხ. გრაფიკი 4). რეზერვების ამგვარი მკვეთრი შემცირება, უპირველეს ყოვლისა, არჩევნების პერიოდში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 591 მლნ აშშ დოლარის გაყიდვამ განაპირობა. ეროვნული ბანკის ამგვარი ქმედების მიზანი, სავარაუდოდ, ლარის კურსის რყევის დასტაბილურება და, აგრეთვე, კორპორაციების მხრიდან უცხოურ ვალუტაზე გაზრდილი მოთხოვნის შემცირება იყო, განსაკუთრებით, სავალუტო ფორვარდების მიზნით. მიუხედავად ამისა, ნოემბრის ბოლოსთვის სავალუტო რეზერვების მაჩვენებელი მცირედით გაიზარდა და 4.12 მლრდ აშშ დოლარს მიაღწია. გარდა ამისა, კვლავ არასაკმარისია საქართველოს ეროვნული ბანკის გარანტიები მმართველობის დარგში და საერთაშორისო სავალუტო რეზერვები კვლავ ჩამოუვარდება ზღვრულ მნიშვნელობებს. ARA-ს მეტრიკის თანახმად, ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები (GIR) 2022 წელს არსებული 102.2%-დან 2024 წელს 94.8%-მდე შემცირდა და, სავარაუდოდ, მომდევნო წლებში 100%-ზე ქვემოთ დარჩება. მიუხედავად იმისა, რომ 2023-2024 წლებში რეზერვები ჯერ კიდევ აკმაყოფილებდა 3.3-3.4 თვის იმპორტის საჭიროებებს, სიტუაციის შემდგომი გაუარესება პოლიტიკური არასტაბილურობის ფონზე ხელს შეუწყობს ქვეყანაში სამომავლო სირთულეების წარმოშობას (სეზ, 2024).

**გრაფიკი 4.** საერთაშორისო რეზერვების ცვლილების მაჩვენებელი თვიურ ჭრილში, მლნ აშშ დოლარი, 2023-2024



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

Fitch-ის რეიტინგში საქართველოს საკრედიტო რეიტინგის შემცირება, სავარაუდოდ, მნიშვნელოვან უარყოფით ზეგავლენას იქონიებს საქართველოში არსებულ ბიზნეს-გარემოზე. სავარაუდოდ, ეს შეამცირებს ინვესტორთა ნდობას საქართველოს მიმართ, რაც ხელს შეუშლის ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებას. ქვეყნის ეკონომიკას დააკლდება უაღრესად საჭირო კაპიტალი და კვალიფიციური კადრები, რაც კიდევ უფრო შეაფერხებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. საერთაშორისო რეიტინგებში საქართველოს უკან დახვევა გამოიწვევს მისი, როგორც ინვესტიციების განსახორციელებლად სტაბილური ქვეყნის, რეპუტაციის შელახვას და კიდევ უფრო გაართულებს უცხოელი ინვესტორებისა და ტურისტების მოზიდვას.



**ცხრილი 1.** Fitch-ის რეიტინგის თვისობრივი მაჩვენებლები (შეფარდებითი მაჩვენებელი ახალი რეიტინგისთვის ან ცვლილებები არსებულ რეიტინგში ან პროგნოზებში), 2024

მაჩვენებელი	კოეფიციენტი	ბოლო მიმოხილვის შემდგომ არსებული ცვლილება
დაბალი	მოქნილობა ფისკალური ფინანსირების სფეროში	სტაბილური
დაბალი	სახელმწიფო ვალის მდგრადობის მაჩვენებელი	სტაბილური
მაღალი	მოწყვლადობა გარე ფაქტორების მიმართ	უარყოფითი
დაბალი	საბანკო სისტემის სიძლიერე	სტაბილური
მაღალი	პოლიტიკური რისკი/გაურკვეველობა	უარყოფითი
საშუალო	მაკროეკონომიკური პერსპექტივები, პოლიტიკის თანმიმდევრულობა და სანდოობა	უარყოფითი
დაბალი	ბიზნეს გარემო და კონკურენტუნარიანობა	სტაბილური
დაბალი	სხვა ფაქტორები	სტაბილური

წყარო: Fitch Ratings

## პირდაპირი უცხოური ინვესტიციები


პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოს ეკონომიკური ზრდის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი განმაპირობებელი ფაქტორია, რომელიც ხელს უწყობს ინოვაციების განვითარებას, სამუშაო ადგილების შექმნას და პროდუქტიულობის ზრდას. თუმცა, არსებული პოლიტიკური არასტაბილურობა მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის სანდოობას ინვესტორების მხრიდან. ხანგრძლივი პოლიტიკური გაურკვეველობა, რომელიც პოლიტიკურ კრიზისში გადაიზარდა უარყოფითად აისახება საქართველოში არსებულ ბიზნეს-გარემოზე. ამგვარი არასტაბილურობა არა მარტო აფერხებს პოტენციურ ინვესტიციებს, არამედ არსებულ ინვესტორებს უბიძგებს კიდევ ერთხელ გადახედონ საკუთარ გადაწყვეტილებებს. უარყოფითი შედეგები კიდევ უფრო ღრმავდება საერთაშორისო რეიტინგებში შესაძლო უკან დახევის ფონზე, რაც საფრთხის მანიშნებელია უცხოური დაინტერესებული მხარეებისათვის.

ბოლო წლების განმავლობაში, საქართველოში შემოდინებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რიცხვი მნიშვნელოვნად შემცირდა. 2023 წელს შემოდინებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 1 902 მლნ ლარს შეადგენდა, რაც 15.6 პროცენტით კლებდა 2022 წელთან შედარებით. 2024 წლის პირველ სამ კვარტალში საქართველომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სახით 966.3 მლნ ლარი მიიღო, რაც 39.9 პროცენტით ნაკლებია წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით (იხ. გრაფიკი 5). ამგვარი კლება ხაზს

უზვამს იმ სირთულეებს, რომლის წინაშეც ქვეყანა დგას უცხოური ინვესტიციების მოზიდვისას, რაც, სავარაუდოდ, განპირობებულია როგორც გლობალური ეკონომიკური მდგომარეობით, ისე ადგილობრივი პოლიტიკური გაურკვეველობით.

საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებული მაღალი რისკი, რაც გამოწვეულია მთავრობის მოულოდნელი გადაწყვეტილებებით, მნიშვნელოვნად განაპირობებს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემცირებას. ინვესტორთა ადგილმდებარეობების შესწავლა ცხადყოფს, რომ საკანონმდებლო ბაზასთან დაკავშირებული გაურკვეველობა აფერხებს მულტინაციონალურ საწარმოებს დაიწყონ ან გააფართოონ საქმიანობა ასეთ ქვეყნებში (Hebous, Kher, & Tran, 2020). გარდა ამისა, პოლიტიკური რისკის შეფასების ახალი მეთოდის თანახმად, პოლიტიკურ რისკთან დაკავშირებული არასტაბილურობა მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს კომპანიის გადაწყვეტილებებზე ინვესტიციებთან და პერსონალის დასაქმებასთან დაკავშირებით. ყოველივე ზემოაღნიშნული მოწმობს, რომ რისკის შემცირებამ შესაძლოა ხელი შეუწყოს ქვეყნის მაკროეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესებას (Hassan, Hollander, Lent, & Tahoun, 2019).

**გრაფიკი 5.** აშშ-დან საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები კვარტლების მიხედვით, ათასი აშშ დოლარი, 2022-2024




წყარო: საქსტატი  
შენიშვნა: \*წინასწარი მონაცემები

გარდა ამისა, პოლიტიკური სტაბილურობა გადამწყვეტ როლს თამაშობს ინვესტორთა ნდობის მოპოვებაში, არასტაბილურობა კი მნიშვნელოვნად აფერხებს უცხოური ინვესტიციების შემოდინებას. არასტაბილური მმართველობა, კორუფცია და ხშირი პროტესტი მაღალი რისკის შთაბეჭდილებას აჩენს (Kiptoo, 2024). მოსალოდნელია, რომ საქართველოში არსებული პოლიტიკური სიტუაცია შეაფერხებს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებას ქვეყანაში, რაც წნეხის ქვეშ ჩააყენებს ბიზნეს-გარემოს. ინვესტიციების შემცირება უარყოფით ზეგავლენას იქონიებს საქართველოს ეკონომიკაზე, რამდენადაც შეამცირებს საწარმოებისთვის ხელმისაწვდომ კაპიტალს და მათი განვითარების შესაძლებლობებს. გარდა ამისა, ინვესტიციების შემცირება დამატებითი წნეხი იქნება ლარის გაცვლითი კურსისათვისაც, რაც გამოიწვევს ეკონომიკურ არასტაბილურობას ქვეყანაში და წარმოშობს დამატებით გაურკვეველობას როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზრებზე.

## ბიზნესის განწყობის ინდექსისა და მოლოდინების შემცირება

არსებული პოლიტიკური სიტუაცია აისახება ადგილობრივ ბიზნეს გარემოზე, რაც, თავის მხრივ, იწვევს ბიზნესის განწყობის ინდექსის (BCI) შემცირებას (იხ. გრაფიკი 6). 2024 წლის მე-4 კვარტალში ბიზნესის განწყობის მაჩვენებელი საქართველოში არსებული 9.7 პუნქტიდან 3.8-მდე შემცირდა. ყველაზე მკვეთრი კლება (22.1 პუნქტი) ფინანსურ სექტორში დაფიქსირდა. ამგვარი კლება განპირობებული იყო ბოლოდროინდელი, არც თუ ისე სახარბიელო მაჩვენებლებით და მომავალთან დაკავშირებული ოპტიმისტური განწყობების შემცირებით. მოლოდინების ინდექსი, რომელიც ზომავს ბიზნეს-სექტორის განწყობას მომავლისადმი 7.0 პუნქტით შემცირდა. 2024 წლის მე-4 კვარტალში მოლოდინების ინდექსი მნიშვნელოვნად შემცირდა წარმოების (-40.0) და სოფლის მეურნეობის (-30.0) სექტორებში (ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი, 2024).

**გრაფიკი 6.** ბიზნესის განწყობისა და მოლოდინების ინდექსი, კვარტლების მიხედვით 2017-2024



წყარო: ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი

ბიზნესის განწყობის ინდექსის (BCI) კლება ხაზს უსვამს არსებულ გაურკვევლობას ქართულ ბიზნეს-სექტორში, რომელიც დაკავშირებულია ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ და პოლიტიკურ მდგომარეობასთან. ფინანსების, წარმოების და სოფლის მეურნეობის სექტორების მნიშვნელოვანი უკუსვლა ცხადყოფს არსებულ ღრმა შეშფოთებას საქმიანი გარემოს სტაბილურობისა და შესაძლებლობების შესახებ. მომავალთან დაკავშირებული რწმენის შემცირება მოწმობს, რომ საწარმოები სულ უფრო მეტ სიფრთხილეს იჩენენ ინვესტიციების განხორციელებამდე, პერსონალის აყვანასა და გაფართოების შესახებ გადაწყვეტილებების მიღებამდე. აღნიშნულმა კი შესაძლოა გამოიწვიოს ეკონომიკური ზრდის შემცირება, სამუშაო ადგილების შექმნის შეფერხება და, ზოგადად, პროდუქტიულობის მაჩვენებლის შემცირებაც. 2024 წლის ნოემბერში, საქართველოში წამყვან დასაქმების პლატფორმა jobs.ge-ზე 6,218 ვაკანსია გამოქვეყნდა, რაც 20.6%-ით ნაკლებია 2024 წლის ოქტომბერთან შედარებით და 9%-ით ნაკლებია წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით (PMCG, 2024). არსებული ვაკანსიების რაოდენობის შემცირება მიუთითებს ბიზნეს-საქმიანობის და დასაქმების პოტენციალის შემცირებაზე. ეს კიდევ უფრო ამყარებს იმ არგუმენტს, რომ პოლიტიკურ სიტუაციას მნიშვნელოვანი ზეგავლენა აქვს ქვეყანაში არსებულ ბიზნეს გარემოზე.

## დასკვნა

საქართველოში არსებული მდგომარეობა არ შეიცვლება ახალი, გამჭვირვალე არჩევნების დანიშვნის გარეშე, რომელიც გაამყარებს რწმენას დემოკრატიული პროცესების მიმართ. განმეორებითი არჩევნები უნდა ჩატარდეს დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და ფარული კენჭისყრის წესით, რათა უზრუნველყოფილი იყოს ლეგიტიმურობა და პოლიტიკური სტაბილურობა. გარდა ამისა, საზოგადოებრივი ნდობის აღდგენისა და მშვიდობის დამყარებისკენ კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება დემონსტრაციების დროს დაკავებულთა გათავისუფლება. აღნიშნული პირობების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, მოსალოდნელია, რომ კრიზისი კიდევ უფრო გამწვავდება და საფრთხეს შეუქმნის ქვეყნის როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიკურ სტაბილურობას. ამგვარი გაურკვევლობის გახანგრძლივება შეამცირებს ინვესტორების ნდობას, გაამძაფრებს სოციალურ მღელვარებას და შეაფერხებს ქვეყნის საერთაშორისო კავშირების დამყარებას. დემოკრატიის პრინციპების უპირობო დაცვისა და კანონის უზენაესობის გარეშე, საქართველო დადგება არასტაბილურობის გრძელვადიანი საფრთხის წინაშე, რომელიც ხელს შეუშლის ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას.